

JEL Classification: M130

DOI:10.46361/2449-2604.8.1.2021.65-76

ნანული მახარაძე

ბიზნესისა და მართვის დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტ-პროფესორი
ბათუმი, საქართველო
E-mail: maxaradze.nanuli@bsu.edu.ge
orcid.org/0000-0002-2322-0052

**ინოვაციური პროექტების
კომერციალიზაციის აუცილებლობა და
პრობლემები საქართველოში**

ინოვაციური პროექტების კომერციალიზაციის აუცილებლობის მიზნით სტატიაში განხილულია საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიმდინარე და განხორციელებული პროექტები. განვითარებული ქვეყნების გამოცდილებით ცნობილია, რომ საინოვაციო პოლიტიკაში სახელმწიფო არის მთავარი ინვესტორი, რომელიც ფულს აბანდებს განათლებაში, ზოგადად კვლევებსა (მათ შორის საინოვაციო ინფრასტრუქტურის განვითარებაში – კვლევითი ორგანიზაციების, საკონსულტაციო, საშუამავლო და საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობაში) და ასევე მისი შედეგების რეალიზაციაში, რომელიც გულისხმობს სიახლეებზე ორიენტირებული სახელმწიფო დაკვეთების/გრანტების და პროექტების განხორციელებას.

კვლევის ჩატარებისას ყურადღება გამახვილდა საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს რამდენიმე ინოვაციურ პროექტზე, რომელთა საფუძველზეც შესწავლილი იქნა კომერციალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები და შეფასდა შესაბამისი შედეგები. პროექტები ძირითადად შეფასდა დაფინანსების საკვალიფიკაციო კრიტერიუმებისა და დარგობრივი ნიშნის მიხედვით. კვლევის ეკონომიკურ-სტატისტიკური, ანალიზისა და სინთეზის მეთოდებით გამოვლინდა საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტების დარგობრივი სტრუქტურა, რომელთა კომერციალიზაციის აუცილებლობამ უნდა შეძლოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარება და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამაღლება.

ინოვაციური პროექტების კომერციალიზაციის აუცილებლობის მიზნით, მნიშვნელოვანია კერძო სექტორსა და განათლების სისტემას შორის კავშირის გაღრმავება, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნის ინოვაციური პოლიტიკის წარმატებულ რეალიზაციას და ქვეყნის ეკონომიკური ზრდის განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: ინოვაცია, გრანტი, მიმდინარე პროექტები, დაფინანსებული პროექტები, საკვალიფიკაციო კრიტერიუმები, კომერციალიზაცია.

შემოსულია რედაქციაში:

თებერვალი, 2021

რეცენზირებულია:

მარტი, 2021

JEL Classification: M130
DOI:10.46361/2449-2604.8.1.2021.65-76

NECESSITY AND PROBLEMS OF COMMERCIALIZATION OF INNOVATIVE PROJECTS IN GEORGIA

NANULI MAKHARADZE

Doctor of Business and Management,
Batumi Shota Rustaveli State University,
Assistant professor,
E-mail: maxaradze.nanuli@bsu.edu.ge
orcid.org/0000-0002-2322-0052

The article discusses the current and implemented projects of the Georgian Innovation and Technology Agency, due to the need of innovative projects commercialization. Based on the experience of developed countries, it is known that the state is the main investor in innovation policy, which invests money in education, generally in research (including in the development of innovation infrastructure - in the activities of research organizations, consulting, intermediary and financial institutions) and also in the implementation of its results, which involves the implementation of innovation-oriented government orders / grants and projects.

During the research, the focus was on several innovative projects of the Georgian Agency for Innovation and Technology, based on which the problems related to commercialization were studied and the relevant results were evaluated. The projects were mainly evaluated on the basis of funding qualification and industry criteria. Through the economic-statistical, analysis and synthesis methods of the research, the sectoral structure of the projects financed by the Georgian Innovation and Technology Agency was revealed. The need to commercialize these projects should enable the development of the country's economy and increase public welfare.

Due to the need to commercialize innovative projects, it is important to deepen the link between the private sector and the education system, which should contribute to the successful implementation of the country's innovative policies and the development of the country's economic growth.

Keywords: *Innovation, Grant, Ongoing projects, Funded projects, Qualification criteria, Commercialization.*

Edited by:
February, 2021
Reviewed by:
March, 2021

შესავალი

დღეს, ისევე როგორც არასდროს განვითარებული ქვეყნების მსგავსად დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს სამეცნიერო ტექნიკური პოტენციალის ათვისებას და მის გამოყენებას. ქვეყანაში ინოვაციური პოლიტიკის განვითარების მიზნით, ბოლო პერიოდში მთავრობის მიერ აქტიურად მიმდინარეობს კვლევის და განვითარებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის სრულყოფა საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და კვლევით ლაბორატორიებში. ინოვაციების და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების მიზნით, საქართველოს მთავრობა აქტიურად ატარებს რიგ ღონისძიებებს ინოვაციური იდეების მობილიზებისა და საზღვარგარეთული ინვესტიციების შემოდინების მხარდაჭერისათვის, რომლებიც მიმართულია ქვეყანაში მოწინავე ტექნოლოგიების შემოტანასა და დანერგვაზე, განსაკუთრებით კი, გარემოს დაცვაზე ორიენტირებული რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების გამოყენებასა და მწვანე ეკონომიკის განვითარებაზე. ასევე, ცდილობს მუდმივად გამოიყენოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების კომერციალიზაციის მხარდაჭერი ინსტრუმენტები – შეხვედრები და ტრენინგები საგანმანათლებლო დაწესებულებებში (მათ შორის ტრენერებისთვის), ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების მასტიმულირებელი საკანონმდებლო პაკეტების ინიცირებასა და ფინანსირების მექანიზმების ხელმისაწვდომობის მიზნით [6].

„მსოფლიო პრაქტიკა აჩვენებს, რომ მე-20 საუკუნის 40-იანი წლებიდან ჩამოყალიბდა სახელმწიფოების მიერ სამეცნიერო საქმიანობისა და მისი შედეგების გამოყენების მხარდაჭერის ტენდენცია, რომელსაც სამეცნიერო-ტექნიკურ პოლიტიკას უწოდებდნენ [4], რასაც ცხადია გვერდს ვერ აუვლის ქართული სახელმწიფო.

ინოვაციური პროექტების კომერციალიზაციის აუცილებლობის მიზნით კვლევის ამოცანაა საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ მიმდინარე და განხორციელებული პროექტების შესწავლა და შეფასება. განვითარებული ქვეყნების გამოცდილებით ცნობილია, რომ საინოვაციო პოლიტიკაში სახელმწიფო არის მთავარი ინვესტორი, რომელიც ფულს აბანდებს განათლებაში, ზოგადად კვლევებსა (მათ შორის საინოვაციო ინფრასტრუქტურის განვითარებაში – კვლევითი ორგანიზაციების, საკონსულტაციო, საშუამავლო და საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობაში) და ასევე მისი შედეგების რეალიზაციაში, რომელიც გულისხმობს სიახლეებზე ორიენტირებული სახელმწიფო დაკვეთების/გრანტების და პროექტების განხორციელებას. კვლევების და განვითარების შედეგების კომერციალიზაციის მიზნით, პრიორიტეტულია კომუნიკაცია და კავშირების გაღრმავება კერძო სექტორსა და განათლების სისტემას შორის, რომლის მეშვეობითაც უნდა დაჩქარდეს ინოვაციური იდეების პრაქტიკაში დანერგვა და კომერციალიზაცია.

ნაშრომის სიახლეს წარმოადგენს ის, რომ ბოლო წლებში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი ქვეყანაში ცოდნასა და ინოვაციებზე დამყარებული ეკონომიკის შექმნის მიზნით გასატარებელია ღონისძიებებია, რომლებმაც პრაქტიკულად ხელი უნდა შეუწყოს ინოვაციური პროცესის განხორციელების ტემპების დაჩქარებას.

ლიტერატურის მიმოხილვა

იმის გამო, რომ ინოვაციური პროექტების განვითარებისა და ხელშეწყობის მიმართულებით ქვეყანას არ გააჩნია დიდი გამოცდილება განსაკუთრებით ყურადსაღებია ინო-

ვაციური პოლიტიკის განვითარებაზე დაკვირვება და განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გაზიარება მით უფრო, რომ საქართველოში ინოვაციის მხარდაჭერისთვის, მთავრობა აქტიურად ახორციელებს შესაბამისი ინფრასტრუქტურის (ტექნოპარკები, ინკუბატორები...) განვითარებას და სათანადო კვალიფიკაციით სამუშაო ძალის მომზადებას. ამასთან, შეიძლება ითქვას, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველო ინარჩუნებს მაღალ მეცნიერულ-ტექნიკურ პოტენციალს, კვალიფიციურ სამეცნიერო და საინჟინრო კადრებს, აქვს მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსები და შიგა ბაზრის დიდი პოტენციალი. რეფორმების წლებზე დაკვირვება და ანალიზი აჩვენებს, რომ საქართველომ ყველა ეს რესურსი უნდა მიმართოს ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებას და ინოვაციური იდეების კომერციალიზაციას არ უნდა დასჭირდეს წლები. აღსანიშნავია, მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებები – 2014 წლის დასაწყისში „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020-ის“ პროექტის [17], კონცეფციისა და პროგრამების გარდა, არსებობს არაერთი ქართველი მეცნიერ-მკვლევარის შეფასება და დასკვნა. კერძოდ: ო. შატბერდაშვილის ხედვის თანახმად, სახელმწიფო ინტენსიურად აფინანსებს კვლევებს საჯარო სექტორში (უნივერსიტეტებსა და სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში) [4], ლ. ქოქიაურის მოსაზრებით – დღეისთვის აქტუალურია სა-მეცნიერო კვლევების და დამუშავებებზე გაწეული ინვესტიციების საერთო მოცულობაში კომერციული სექტორის წილის გადიდება [5], რაც ერთობ მნიშვნელოვანია ქვეყნის ზრდა-განვითარებისათვის.

კვლევის მეთოდოლოგია

ნაშრომის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს ქართველი და უცხოელი მეცნიერთა სამეცნიერო ნაშრომების გარდა, წარმოადგენს: საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ინტერნეტ-მასალები; საკანონმდებლო დადგენილებები, განკარგულებები, პროგრამები, ქვეყნის საინოვაციო კონცეფცია და ა.შ. კვლევის პროცესის სწორად წარმართვისათვის ნაშრომში გამოყენებულია ეკონომიკურ-სტატისტიკური, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები, რომლითაც გამოვლენილია საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტების პრიორიტეტები და დარგობრივი სტრუქტურა.

კვლევის შედეგები

საქართველოში, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული როლი აკისრია ინოვაციური ეკონომიკის სრულყოფას. ამ მხრივ, უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ხელშეწყობით არაერთი პროექტი განხორციელდა. კერძო სექტორის განვითარების და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, მთავრობა ხელს უწყობს კვლევასა და განვითარებას, რაც თავის მხრივ, მოიცავს როგორც გამოყენებითი კვლევების განხორციელებისადმი ხელშეწყობას და მათი სახელმწიფო დაფინანსების ეფექტიანობის ზრდას. მთავრობა ცდილობს, ხელი შეუწყოს ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდას, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, რომლებიც, თავის მხრივ, ინოვაციების მთავარი მამოძრავებლები არიან. კვლევების და განვითარების ხელშეწყობა კერძო სექტორს და განათლების სისტემას

შორის გულისხმობს, კავშირების გაღრმავებით გამოყენებითი კვლევისა და განვითარების როგორც ხარისხის, ისე პრაქტიკაში დანერგვასა და კომერციალიზაციის წარმატებით განხორციელებას.

როგორც სამეცნიერო კვლევები ადასტურებს, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესია საინოვაციო პოლიტიკის განვითარება. ბოლო წლების სამთავრობო გადაწყვეტილებებიდან, რომელიც ინოვაციის საკითხებს შეეხო, შეიძლება აღვნიშნოთ რეგიონული განვითარების სტრატეგია (2010 წ.), საქართველოს საინოვაციო კონცეფცია და სხვ. საერთო ჯამში, კვლევებსა და განვითარებასთან დაკავშირებული საქმიანობა, რაც კონკურენტუნარიანი ეკონომიკის ქვაკუთხედს წარმოადგენს, საქართველოში ჯერ კიდევ შედარებით სუსტი და ფრაგმენტულია [1,2,3].

საქსტატის მიერ ჩატარებული სპეციალური ინოვაციების კვლევის თანახმად, 2013-2015 წლებში საინოვაციო საქმიანობაში ჩართული ქართული საწარმოების 48.8%-მა წარმოადგინა ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქცია, ხოლო კომპანიების 51.2% ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული სერვისები. გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ ინოვაციური საქმიანობის 23.1% შეწყდა დასრულებამდე, ხოლო 76.9% ჯერაც მიმდინარეობს. იმავე კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ საწარმოების 97.5%-ს აქვს ინტერნეტის ხელმისაწვდომობა, ხოლო საწარმოების 44.3%-ს აქვს საკუთარი ვებგვერდი [3]. მიუხედავად ამისა, კვლევებისა და განვითარების (R&D), ინოვაციებისა და ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფილი სტატისტიკა საქართველოში ჯერ კიდევ საკმარისად არ იწარმოება. ზოგიერთი მონაცემი ხელმისაწვდომია, მაგრამ მათი უმრავლესობა არ არის წარმოდგენილი რეგიონულ დონეზე.

თავდაპირველად სააგენტოს მიერ განხორციელდა რამდენიმე მიმდინარე პროექტი: ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროგრამა (TTPP), სტაჟირების პროგრამა და IT Hub.

ინოვაციების ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერების პროექტის ფარგლებში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროგრამით ხელი უნდა შეეწყოს ისეთი სამეცნიერო პროექტების კომერციალიზაციას, რომლებიც უპასუხებენ ბაზრის საჭიროებებს. აღნიშნული პროგრამის ძირითადი განმახორციელებლები არიან მსოფლიო ბანკი და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო. პროგრამის ფარგლებში კომერციალიზაციის პოტენციალის მქონე იდეების შესარჩევად ხორციელდება მათი დაკავშირება კვლევით ინსტიტუტებთან. შეფასებისთვის მიიღება მხოლოდ კვლევითი პროექტები, რომლებიც არიან ტექნოლოგიების მზაობის TRL4 და შემდეგ დონეზე. პროგრამის განხორციელების მიზნით სააგენტო ანახორციელებს შეხვედრებს უნივერსიტეტებსა და კვლევით ინსტიტუტებში, რათა სწორად იქნას შერჩეული კომერციალიზაციის პოტენციალის მქონე პროექტები და განისაზღვროს მათი დაფინანსების საკითხი. ასევე ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების დახმარებით მოხდეს იმ პროექტების იდენტიფიცირება, რომელთაც აქვთ ტექნოლოგიური და კომერციული მზაობის შესაბამისი დონე (TRL4+) – კვლევითი კონტრაქტი, ინტელექტუალური საკუთრების კვლევა და დაცვა, ბაზრის ანალიზი და ევროკავშირის წევრი ქვეყნების ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრებთან თანამშრომლობის განვითარება, საერთაშორისო ურთიერთობების გასაძლიერებლად და ევროპულ ბაზარზე შესასვლელად.

გარდა ამისა, ინოვაციების და ტექნოლო-

გიების სააგენტომ საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტებსა და ინოვაციების სააგენტოს ბენეფიციარ სტარტაპებს შორის განახორციელა სტაჟირების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს GITA-ას ბენეფიციარ სტარტაპ კომპანიებისა და ქვეყნის სხვადასხვა უნივერსიტეტის დამამთავრებელი კურსის სტუდენტების დაკავშირებას. პროგრამის მიზანი ამ შემთხვევაშიც არის გაიზარდოს სტარტაპ ეკოსისტემაში ჩართული ადამიანების რიცხვი, ხელი შეუწყოს ეკოსისტემაში ახალგაზრდა ინოვატორების ჩართვასა და არსებული სტარტაპ კომპანიების განვითარებას, მოხდეს ანტრეპრენერული მიდგომების პოპულარიზება, განავითარდეს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან მუშაობის უნარი უნივერსიტეტის სტუდენტებში და ხელი შეუწყოს მათ სამომავლო ინტეგრაციას შრომით ბაზარზე. ასევე, ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს EPAM და StrategEast პროგრამით ნავარაუდევია მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნა, კვალიფიციური კადრების რაოდენობის გაზრდა, ტექნოლოგიური მეწარმეობის შესაძლებლობების გაძლიერება და ადამიანური კაპიტალის განვითარება.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ 2014 წლიდან დღემდე რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა, რომელთა შორის მნიშვნელოვანია: ბიზნეს ინკუბატორი, სტარტაპ მეგობრული, სტარტაპ ბითსი, IT ტრენინგები, ინოვაციური ბანაკი და სტარტაპ საქართველო.

„ბიზნეს ინკუბატორი“ (პირველად 2016 წლის ამოქმედდა) არის დამწყები ბიზნესის ხელშემწყობი პროგრამა [8], რომელიც ინოვაციური იდეის მქონე მეწარმეებს საშუალებას აძლევს, სხვადასხვა შეღავათიან პირობებში, გაიარონ საკუთარი ბიზნეს იდეის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი. პროგ-

რამა მიზნად ისახავს მონაწილე გუნდების ხელშეწყობასა და მათი ინოვაციური ბიზნეს იდეების წარმატებულ ბიზნესად განვითარებას. სააგენტო აქტიურად ახორციელებს ტრენინგებს სხვადასხვა მიმართულებებით, კერძოდ: პროექტის მართვა, მარკეტინგი, ბიზნეს გეგმის ჩამოყალიბება და სხვა. ასევე, უწევს მათ კონსულტაციებს ფინანსურ, იურიდიულ, ინტელექტუალური საკუთრების დაცვასა და სხვა საკითხებში. სტარტაპ ბიზნესების ხელშეწყობა და ბაზარზე მათი პოზიციონირება ზრდის ქვეყანაში სტარტაპ ეკოსისტემის წინსვლისა და ფორმირების არეალს. დამწყებ ბიზნესმენებს ჭირდებათ შანსი, იდეა აქციონ რეალურ პროდუქტად, გავიდნენ ბაზარზე და შექმნან კონკურენტუნარიანი ბიზნეს-გარემო.

პროგრამა „სტარტაპ მეგობრული“ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს პროექტია [7], რომლის მიზანია ქართულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა ინოვატორებისა და სტარტაპების სწრაფი განვითარების ხელშესაწყობად. პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით კომპანიებსა და სტარტაპებს შორის კომუნიკაციის მიზნით შეიქმნა პორტალი www.startupfriendly.gov.ge. პორტალის მეშვეობით, სტარტაპს აქვს საშუალება ისარგებლოს „სტარტაპ მეგობრულის“ ფარგლებში არსებული უპირატესობით და ასევე შეუძლია დააფიქსიროს თავისი საჭიროებები. მეორეს მხრივ, კომპანიებს ექნებათ საშუალება დარეგისტრირდნენ და წარადგინონ თავიანთი შეთავაზებები სტარტაპებისთვის.

სტარტაპ ბითსი ფარგლებში ხორციელდება რეგულარული შეხვედრები, სადაც სხვადასხვა სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანები, მათ შორის წარმატებული სტარტაპერები გამოცდილებას უზიარებენ და ინტერესებულ მხარეებს [9]. „Startup Beats“ ქართულად ნიშნავს, სტარტაპების გულის-

ცემას, დინამიკას. სწორედ ამ მიზნით არის მნიშვნელოვანი ქართული სტარტაპ საზოგადოების შექმნა და განვითარება. ამიტომ პროექტის ფარგლებში მნიშვნელოვანია სტარტაპებს შორის საქმიანი ურთიერთობის გაძლიერება, სწორი კომუნიკაცია და გამოცდილების გაზიარება.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს საქმიანობაში მნიშვნელოვანია საინფორმაციო საზოგადოების ფორმირების ხელშეწყობი პროექტების და პროგრამების სახელმწიფო ერთიანი პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა და კოორდინირება, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და ინოვაციების ყველა სფეროში შეღწევის ხელშეწყობა და გამოყენების ეფექტურობის ამაღლება [11]. ამ მიზნით, სააგენტოს ინიციატივით შეიქმნა პორტალი, რომლის მიზანია საქართველოში არსებული IT სპეციალისტების ერთიან ბაზაში გაერთიანება, მათი დასაქმების ხელშეწყობა და კომერციალიზაცია. აღნიშნული მიზნის მისაღწევად სააგენტო ახორციელებს ტრენინგებს IT დისტანციური მხარდაჭერის, VOIP, Front-End, Java, Python, PHP, Android, iOS პროგრამირების, IT პროექტების და მათი ხარისხის მართვის, ასევე კიბერ უსაფრთხოების მიმართულებით. მიმართულებები შერჩეულია კვლევისა და მომხმარებელთა გამოკითხვის შემდეგ და პროექტის ფარგლებში, ამ მიმართულებით სულ გადაამზადდა 191 ტრენერი და 2500-მდე ადამიანი [10].

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ, ინოვაციური ეკოსისტემის განვითარების მიზნით, შეიმუშავა გეგმა ინოვაციური ბანაკი სახით, თუ როგორ გახდეს საქართველო რეგიონში ერთი საუკეთესო ადგილი სტარტაპის დასაარსებლად [12]. საქართველოს ქალაქებსა და კუთხეებში ტარდება სტარტაპ ბანაკები (Startup Boot Camp), რომელთა მთავარი მი-

ზანიც არის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნისა და საქართველოს მოქალაქეებმა შექმნილი სამეროვანი გუნდი, ფარული ინოვაციების გამოვლენისა და მათი იდეების ბიზნესად ქცევის მიზნით საქართველოში. რაც ხელს ასევე, შეუწყობს საქართველოს ინოვაციების ეკოსისტემის განვითარებას და ადგილობრივ, დამწყებ მეწარმებს საშუალებას მისცემს გავიდნენ საერთაშორისო ბაზარზე. ბანაკი სამი მიმართულებით – ლოკალური, რეგიონული და საერთაშორისო დონეზე მოქმედებს. საერთაშორისო ბანაკის მიზანი კი, არის საქართველოს შესახებ ცნობადონის ამაღლება მსოფლიოს მასშტაბით და ქვეყნის პოზიციონირება რეგიონულ ჰაბად ინოვაციების მიმართულებით.

ჯერჯერობით ყველაზე პროდუქტიული პროგრამა „სტარტაპ საქართველო“, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით შეიქმნა, რომელიც მთავრობის 4 პუნქტიანი გეგმის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს [13]. პროგრამა ერთობლივად შემუშავდა საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს და საპარტნიორო ფონდის მიერ და დამტკიცდა მთავრობის 2016 წლის 11 მაისის №206 დადგენილებით [2]. პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოში ინოვაციურ იდეებზე დაფუძნებული ბიზნესის განვითარებას და საერთაშორისო ბაზარზე გასვლას, რომელიც შედგება ორი ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური კომპონენტისგან. სააგენტოს მიერ დაფინანსებულია პროექტები სხვადასხვა მიმართულებებით: ავიაკოსმოსური წარმოება, ავტომობილები, ბიოტექნოლოგიები, ბიოინფორმატიკა, ხელოვნური ინტელექტი, კომპიუტერული ინჟინერია, კომპიუტერული მეცნიერება, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ნანოტექნოლოგიები, რობოტიკა, ბირთვული ფიზიკა, ელექტრომაგნიტური გამოსხივება, ნახევარგამტარები და ა.შ.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო ფინანსებზე წვდომის მხარდაჭერის მიზნით ახორციელებს დაფინანსების პროგრამებს სტარტაპებისთვის, როგორც კომერციალიზაციის, ასევე კვლე-

ვა-განვითარების ეტაპზე. გრანტის ფარგლებში მოთხოვნილი თანხების ოდენობა დიფერენცირებულია (იხილეთ ცხრილი 1) მსხვილი, საშუალო და მცირე გრანტების მიხედვით.

ცხრილი №1. გრანტების საკვალიფიკაციო კრიტერიუმები

გრანტის ოდენობა (ლარი)	გრანტების მიმღები	წლიური ბრუნვა მლნ ლარი	თანადაფინანსება	დაფინანსება (ლარი)	პროექტის ხანგრძლივობა
650 000	ერთწლიანი რეგისტრაციის მქონე მეწარმე	30	ბიუჯეტის 50%	150 000–650 000–მდე	24 თვე
100 000	საქართველოს მოქალაქე	არ მოეთხოვება	არა	100 000–მდე	
5 000	საქართველოს მოქალაქე	არ მოეთხოვება	არა	5 000	

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ინტერნეტ მასალებზე დაყრდნობით

სააგენტოს 5 000 ლარამდე მცირე გრანტების პროგრამის დაფინანსების მიზანია სტარტაპების შექმნისა და განვითარების ხელშეწყობა, რომელიც სამი მიმართულებით ხორციელდება [20]: პროტოტიპის გრანტი, ღონისძიების და სამგზავრო გრანტი.

აღნიშნული მიმართულებით მცირე გრანტები გაიცემა პროტოტიპების შექმნის, დახვეწისა და გაუმჯობესების ან ჰაკათონების, მეიქათონების, კრეათონებს კრეატიული იდეის ბიზნეს-მოდელის შექმნის მიზნით, ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობას ინოვაციებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით.

ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ თანადაფინანსების გრანტების პროგრამა 100 ათას ლარამდე პროექტი მეექვსედ გამოაცხადა (2020წ.), რომელიც მსოფლიო ბანკის პროექტის „ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის“ ფარგლებში ხორციელდება. პროექტის წინა ხუთი რაუნდის შემდეგ სულ დაფინანსდა 95 სტარტაპი, რომელთა ძირითადი მიზანი საქართველოში საერთაშორისო პოტენციალის მქონე ინოვაციური

პროდუქტებისა და მომსახურების შექმნა, კომერციალიზაცია და სტიმულირებაა. საგრანტო კონკურსისთვის განკუთვნილია ორი მილიონი ლარი [22].

650 000-ლარიანი გრანტების ორწლიან პროგრამას 2019 წლიდან ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით. სტარტაპების თანადაფინანსების გრანტების პროგრამის მიზანია, მოახდინოს ინოვაციების, ინოვაციური საწარმოების შექმნის სტიმულირება და ჩართვა ქვეყნის ეკონომიკაში. პროგრამის მეშვეობით, ქართული მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები, რომელთაც გააჩნიათ პოტენციალი საკუთარი ინოვაცია განავითარონ და წარადგინონ მსოფლიოს დონეზე, მოახდენენ ინოვაციური პროდუქტის პოზიციონირებას გლობალურ ბაზარზე. საგრანტო პროგრამის ფარგლებში, დაფინანსდება გლობალური პოტენციალის მქონე პროდუქტი - ტექნოლოგიური, ან ბიზნეს-პროცესული ინოვაცია [21].

2016-2019 წლებში კონკურსის წესით, შერჩეული და დაფინანსებული 20-ზე მეტი სტარტაპი (იხილეთ ცხრილი 2). პროგრამის დაფინანსებაში ძირითადად მონაწილეობენ: ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს თანადაფინანსების გრანტების პროგრამა და სტარტაპ საქართველო. სტარტაპ საქართველოს ძირითად სფეროებად გამოირჩევა: მედიცინის, Smart მოწყობილობების, განათ-

ლების სფეროები, რომელთა შორის ჭარბობს 100 000 ლარის დაფინანსების მქონე გრანტები. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად გრანტების რაოდენობა უფრო მეტი იყო, ხოლო მომდევნო წლებში არასტაბილურია დაფინანსებული პროექტების რაოდენობა. მნიშვნელოვანია დასაქმებულთა რიცხოვნობაც, რაც ასევე არათანაბარია და არ ვლინდება ზრდის ტენდენციები.


ცხრილი №2. სტარტაპ საქართველოს მიერ დაფინანსებული პროექტები (2016-2019წწ)

	პროექტი	სფერო	დაფინანსება	დაარსების წელი	დასაქმებული
1	VADAC		90 000	2019	4
2	Qevvry		159 000	-	4
3	Eventals		100 000	-	4
4	Mydoc.chat	მედიცინა	100 000	-	7
5	Elven Technologies	უსაფრთხოება	100 000	-	4
6	Mydoc.chat	მედიცინა	100 000	-	7
7	Anima Chatbotics		100 000	2018	8
8	LiveCaller		100 000	-	7
9	Phubber		100 000	-	7
10	Ur App	VR		-	
11	TTM	Smart მოწყობილობები	110 810	-	4
12	Wely		100 000	-	5
13	IUGH Ltd	VR	100 000	-	3
14	WELI	განათლება	190 000	2017	6
15	Spy Recipe		100 000	-	
16	CLPHUB			-	
17	Traktor			-	9
18	Doers		250 000	2016	5
19	Mostat - Alien Green	VR	60 000	-	
20	Hostel Pro		100 000	-	
21	QuickCash AI		100 000	-	7
22	VRex Immersive	VR	200 000	-	4
23	Hand 4 Help	VR	100 000	-	3
24	EDVEX		100 000	-	3
25	Lingwing.com	განათლება	100 000	-	12
26	CNICK	Smart მოწყობილობები	100 000	-	5

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მონაცემებზე დაყრდნობით

„სტარტაპ საქართველო“-ს პროექტზე სულ 700-ზე განაცხადი იქნა მიღებული, მათ შორის მაღალტექნოლოგიურ კომპონენტზეც. გრანტის ფარგლებში სულ გაცემულია 2 649 810 ლარი (იხილეთ დიაგრამა 1). როგორც დიაგრამიდან ჩანს, დაფინანსებაში არ შეინიშნება მკვეთრი ზრდა და რაც შეიძლება

დაკავშირებული იყოს მეწარმე ინოვატორების მხრიდან დაბალ ინტერესთან ან ინოვაციური პროექტების სიმცირესთან, ან კიდევ კომუნიკაციის არ არსებობასთან, რომლის მეშვეობითაც უნდა მოხდეს იდეების გატანა ბაზარზე.



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო ერთად მუშაობს მეწარმეობის ახალ მოდულზე, რომელიც რამდენიმე უმაღლეს სახელმწიფო და კერძო (ილის უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი და სხვ.) და პროფესიულ სასწავლებლებში „ფაბლაბების“ (Fab Lab (Fabrication Laboratory) – სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიების დაფუძნება გულისხმობს, რომლებიც დაეხმარება მომზადებულ კადრებს, ადგილი დაიმკვიდრონ სწრაფად და მუდმივად ცვალებად საერთაშორისო და ადგილობრივ შრომის ბაზარზე. ტექნოპარკის ფაბლაბი, თავისი მასშტაბებით და დანადგარების სრული ციკლით, ადგილობრივ სტარტაპებს და ახალგაზრდა ინოვატორებს

საშუალებას აძლევს იდეების რეალიზება და ახალი წამოწყებების სრულყოფა მოახდინონ [14].

ტექნოპარკი წარმოადგენს ფიზიკურ სივრცეს, სადაც მობილიზებულია ტექნოლოგიური, საგანმანათლებლო, პროფესიონალური რესურსები და მიზნად ისახავს ემსახუროს საქართველოში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარება, რომელიც აერთიანებს ინკუბატორებს, სასწავლო ცენტრებსა და ლაბორატორიებს. ბოლო მონაცემებით საქართველოში სულ 8 ტექნოპარკია [14].

ბოლო წლებში შეიცვალა ქართული კომპანიების საერთაშორისო ბაზრებით დაინტერესება და მათთვის ახალ შესაძლებლობებს ქმნის ევროკავშირის ბაზარზე ფართოდ გაავრცელონ საკუთარი ბიზნეს წინადადებები და მოიზიდონ შესაბამისი პარტნიორები [19]. მცირე ბიზნესის დახმარებისა და

ტექნოლოგიების გადაცემის საერთაშორისო ქსელებში ჩართვა, საერთაშორისო ქსელები, მათ შორის (და პირველ რიგში) ევროპული ქსელები [Enterprise Europe Network, een.ec.europa.eu/] [18] ეხმარებიან ინოვაციურ საწარმოებს მზა გადაწყვეტების მოძიებასა და გამოყენებაში, ექსპერტიზის წვდომაში და ა.შ.

ასოცირებული ქვეყნის სტატუსის მინიჭების შემდეგ, საქართველოს 2016 წლიდან

აქვს წვდომა ევროკავშირის რამდენიმე პროგრამასა და ფინანსურ ინსტრუმენტზე, რომელთა შორისაა Enterprise Europe Network (EEN). EEN-ის ოფიციალური წარმომადგენლები არიან საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო და „აწარმოე საქართველოში“ კერძოდ, EEN-ის Business Cooperation Center (BCC). აღნიშნული ორგანიზაციები ეხმარებიან ქართულ კომპანიებს /სტარტაპებს საერთაშორისო პარტნიორების მოძიებაში.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო Startup Europe Regions Network (SERN)-ის წევრი 2017 წელს გახდა. SERN არის რეგიონების ქსელი, რომელიც მიმართულია სტარტაპების მხარდასაჭერად [15]. Horizon 2020 არის ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის უმსხვილესი პროგრამა დაახლოებით 80 მილიარდი ევროს ბიუჯეტით, რომელიც 7 წლის მანძილზე (2014-2020) გრანტების სახით მოხმარდება სამეცნიერო თუ კვლევით აღმოჩენებს, გამოგონებებსა თუ ინოვაციებს და საუკეთესო იდეებს [16]. პროგრამის მისიაა ხელი შეუწყოს მეცნიერებას, უპასუხოს საზოგადოებრივ და ინდუსტრიულ გამოწვევებს.

GITA ხელს უწყობს რა, კრეატიული ინდუსტრიის ფორმირებას საქართველოში, შემოქმედებითი აზროვნების ამაღლებით განაპირობებს ინოვაციური ეკოსისტემის შექმნას ქვეყანაში. კრეატიული გარემო კი, გა-

ნაპირობებს ქვეყნის ინოვაციურ წინსვლას. საინფორმაციო ტექნოლოგიებში ზრდადი მოთხოვნა განპირობებულია ბაზარზე არსებული უსაზღვრო შესაძლებლობებით, რომელიც ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია საინფორმაციო ტექნოლოგიები წარმოადგენს გასაღებს მსოფლიოს ციფრული სამყაროს განვითარებაში.

საქართველოში ინოვაციის სფეროს ბაზრის ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ საინოვაციო პოლიტიკის მიმართ დამოკიდებულება საქართველოში მკვეთრად შეიცვალა; შეიქმნა წინაპირობები საქართველოში საინოვაციო მიმართულებით განვითარებისა და მთავრობის მხრიდან რიგი პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმისთვის. სახელმწიფო საინოვაციო პოლიტიკის აქტიურად გასატარებლად შეიქმნა სახელმწიფო ინოვაციური ფონდი, საპარტნიორო ფონდი და სხვა, ასეთი სახელმწიფო ფონდების ეფექტიანი საქმიანობა კარგადაა ცნობილი ბევრ ქვეყანაში.

დასკვნები და რეკომენდაციები

როგორც შედეგებზე დაკვირვებით გამოვლინდა, თითქმის ყველა პროექტის მთავარი მიზანი კომერციალიზაცია და საერთაშორისო ბაზარზე გასვლის სურვილია. თუმცა ინოვაციური პროექტების კომერციალიზაციის აუცილებლობის მიზნით, მნიშვნელოვანია ზოგიერთი ღონისძიების განხორციელება. კერძოდ: საპატენტო უფლებების დაცვის მექანიზმის გაუმჯობესების მიზნით ქვეყანაში მიღებული კანონმდებლობის რეალურად ამოქმედება; სამეცნიერო სფეროს დაინტერესებისა და სტიმულირების ღონისძიებების კომპლექსური დამუშავება და კოორდინაცია; კერძო სექტორსა და განათლების სისტემას შორის კავშირის გაღრმავება; ცნობიერების გაზრდა და ინოვაციების კუთხით მეტი დაინტერესება; უკვე განხორ-

ციელებულ პროექტებზე მონიტორინგი მისი შემდგომი განვითარებისა და ბაზარზე დამკვიდრების მიზნით, ხოლო კრიზისის შემთხვევაში მათთვის სათანადო საკონსულტაციო დახმარების გაწევა.

საქართველოში ინოვაციური პოლიტი-

კის სრულყოფის და განვითარების მიზნით მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ცნობადობის ამაღლება, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნის ინოვაციური პოლიტიკის წარმატებულ რეალიზაციას და ქვეყნის ეკონომიკური ზრდის განვითარებას.

REFERENCES/ ლიტერატურა

- [1] საქართველოს მთავრობის 2012 წლის 10 სექტემბრის N1722 განკარგულება. საინოვაციო კონცეფცია. გვ. 17
http://www.eap-csf.ge/images/doc/publikaciebi/Policy%20Paper_WG2_Inovacia.pdf
- [2] საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 მაისის №206 დადგენილება.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3730872?publication>
- [3] საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა 2018-2021 გვ. 37
<https://mrdi.gov.ge/pdf/5d148e85571f3.pdf/2018-2021>
- [4] შატბერდაშვილი ო. რეგიონალური საინოვაციო პოლიტიკა (გვ.12)
<https://old.inovdev.ge/old/uploads/files/94261Shatberash>
- [5] ქიქიაური ლ. ინოვაციური ეკოსისტემა - ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. ჟურნალი „ინოვაციური ეკონომიკა და მართვა“. ტომი 7, N1, 2020 გვ.37
<http://iem.ge/ojs/index.php/journal/article/view/13/6>
- [6] <https://gita.gov.ge/geo/static/3>
- [7] <https://gita.gov.ge/geo/static/121>
- [8] <https://gita.gov.ge/geo/static/139>
- [9] <https://gita.gov.ge/geo/static/123>
- [10] <https://gita.gov.ge/geo/static/125/it>
- [11] <https://gita.gov.ge/geo/static/145>
- [12] <https://gita.gov.ge/geo/static/137>
- [13] <https://gita.gov.ge/geo/static/135>
- [14] <https://gita.gov.ge/geo/static/49/fablabebe>
- [15] <https://gita.gov.ge/geo/static/107>
- [16] <https://gita.gov.ge/geo/static/111/horizon-2020>
- [17] www.mof.ge/common/get_doc.aspx?doc_id=10742
- [18] National Policy of Research, Development and Innovation for years 2009-2015. Pg 51
- [19] <https://gita.gov.ge/geo/static/105>
- [20] <https://gita.gov.ge/geo/static/127> 14. 03.202
- [21] <https://gita.gov.ge/geo/list/show/318--650-000-lariani-inovatsiuri-sagranto-programa-daitsko> 14.03.2021
- [22] <https://grants.gov.ge/ka/%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%98> E1%83%90/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%